ტენდერში მონაწილეობის სტანდარტული პირობები

1. შესავალი

1.1. წინამდებარე ტენდერში მონაწილეობის სტანდარტული პირობები (შემდგომში - სტანდარტული პირობები) განსაზღვრავს შპს „კავკასიური მეტალის ტერმინალის“ მიერ www.tenders.ge-ს მეშვეობით გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობის პირობებს და სავალდებულოა ტენდერში მონაწილე ყველა პრეტენდენტისთვის.

1.2. პრეტენდენტი ტენდერში მონაწილეობით ადასტურებს რომ გაეცნო და ეთანხმება სტანდარტულ პირობებს.

2. დეფინიციები

თუ სტანდარტული პირობებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, ან მისი კონტექსტიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს, სტანდარტულ პირობებში გამოყენებულ ქვემოთ მოცემულ დეფინიციებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

2.1. კომპანია - შპს „კავკასიური მეტალის ტერმინალი“ (ს/კ: 415083778).

2.2. კომპანიის წარმომადგენელი - კომპანიის უფლებამოსილი პირი რომელსაც კომპანია უთითებს სატენდერო განაცხადში.

2.3. ტენდერი - კომპანიის მიერ www.tenders.ge -ს ელექტრონული შესყიდვების სისტემის საშუალებით გამოცხადებული შესყიდვა.

2.4. პრეტენდენტი - ნებისმიერი იურიდიული პირი, რომელიც მონაწილეობს ტენდერში, სატენდერო წინადადების წარდგენის გზით.

2.5. წარმატებული პრეტენდენტი - პრეტენდენტი, რომელიც საუკეთესო სატენდერო წინადადების წარდგენით გაიმარჯვებს ტენდერში.

2.6. სატენდერო პირობები - სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული ინფორმაცია შესყიდვის შესახებ, ასევე შესყიდვის ობიექტისა და პრეტენდენტის მიმართ კომპანიის მიერ დადგენილი პირობების/მოთხოვნების ერთობლიობა.

2.7. სატენდერო განაცხადი - ტენდერის ჩატარების შესახებ კომპანიის მიერ www.tenders.ge -ს ელექტრონული შესყიდვების სისტემის საშუალებით განთავსებული განაცხადი, რომელიც მოიცავს სტანდარტული პირობებით განსაზღვრულ ინფორმაციას, არის სატენდერო პირობების ნაწილი და გულისხმობს მოწვევას ტენდერში მონაწილეობის თაობაზე.

2.8. სატენდერო დოკუმენტაცია - სატენდერო განაცხადზე თანდართული ნებისმიერი სახის დოკუმენტაცია, რომელიც არის სატენდერო პირობების ნაწილი.

2.9. ინფორმაცია - სატენდერო დოკუმენტაციასთან, სატენდერო პირობებთან დაკავშირებული კომპანიის მიერ პრეტენდენტისთვის მიწოდებული ან/და ხელმისაწვდომი ინფორმაცია ან ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელიც წარდგენილია წერილობითი, ზეპირი, ელექტრონული თუ სხვა ნებისმიერი ფორმით.

2.10. სატენდერო წინადადება - სტანდარტული პირობების მოთხოვნათა დაცვით ტენდერში მონაწილეობის მიღების მიზნით, პრეტენდენტის მიერ სატენდერო განაცხადის საპასუხოდ წარდგენილი წინადადება, რომელიც მოიცავს სატენდერო დოკუმენტაციას.

2.11. სატენდერო წინადადების ვადა - თარიღი რომელიც მითითებულია სატენდერო პირობებში და განსაზღვრავს სატენდერო წინადადების წარდგენის ბოლო ვადას.

2.12. შესყიდვის ობიექტი - სატენდერო პირობებში მითითებული შესასყიდი საქონელი ან/და მომსახურება.

2.13. ხელშეკრულება - კომპანიასა და წარმატებულ პრეტენდენტს შორის გაფორმებული ან/და სატენდერო პროცედურების დასრულების შემდგომ გასაფორმებელი ხელშეკრულება.

2.14. პირი – ფიზიკური პირ(ებ)ი, იურიდიული პირ(ებ)ი ან/და საქართველოს ან სხვა ქვეყნის კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნ(ებ)ი, რომელიც/რომლებიც არ წარმოადგენს/წარმოადგენენ იურიდიულ პირ(ებ)ს.

2.15. კანონმდებლობა - საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები და საქართველოს ნორმატიულ აქტთა სისტემაში მოქცეული საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები.

3. სატენდერო წინადადების წარდგენა

3.1. პრეტენდენტი სატენდერო წინადადებას წარადგენს ვებგვერდზე: www.tenders.ge სატენდერო პირობებით, სატენდერო განაცხადის და სტანდარტული პირობებით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

3.2. პრეტენდენტი ვალდებულია:

3.2.1. მოამზადოს და წარადგინოს სატენდერო წინადადება სატენდერო განაცხადის და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნათა მკაცრი დაცვით.

3.2.2. სატენდერო წინადადებას დაურთოს და შეავსოს სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილი ყველა გრაფიკი, დანართი ან/და ნებისმიერი სხვა ინფორმაცია თუ დოკუმენტაცია.

3.2.3. სატენდერო პირობებში მითითებულ თარიღში და დროს წარადგინოს სატენდერო წინადადება. სატენერო წინადადების ვადის დარღვევით პრეტენდენტის მიერ სატენდერო წინადადების წარდგენის შემთხვევაში კომპანია არ არის ვალდებული განიხილოს სატენდერო წინადადება ან გააფორმოს ხელშეკრულება.

3.2.4. კომპანიას დასამტკიცებლად წარუდგინოს ქვეკონტრაქტორთა ჩამონათვალი (ასეთის არსებობის შემთხვევაში). კომპანია უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებით უარი განაცხადოს პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებულ ქვეკონტრაქტორთა დამტკიცებაზე.

3.3. პრეტენდენტი უფლებამოსილია მოითხოვოს სატენდერო პირობებში მითითებული სატენდერო წინადადების ვადის გახანგრძლივება, კომპანიის წარმომადგენლისათვის ასეთი ვადის ამოწურვამდე სულ მცირე 10 (ათი) სამუშაო დღით ადრე წერილობითი მოთხოვნის წარდგენის გზით, სადაც მითითებული უნდა იყოს ვადის გახანგრძლივების დასაბუთებული მიზეზები. კომპანია უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებით დაეთანხმოს ან უარი განაცხადოს პრეტენდენტის მიერ მოთხოვნილ ვადის გახანგრძლივებაზე.

3.4. პრეტენდენტის მიერ სატენდერო წინადადებაში შეუსაბამობის, შეცდომის ან/და ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში პრეტენდენტი უფლებამოსილია წერილობით შეატყობინოს კომპანიის წარმომადგენელს აღნიშნული შეუსაბამობის, შეცდომის ან/და ხარვეზის თაობაზე.

3.5. პრეტენდენტი უფლებამოსილია სატენდერო წინდადების ვადის ამოწურვამდე გაიტანოს თავისი სატენდერო წინადადება.

3.6. სატენდერო წინადადების წარდგენით პრეტენდენტი ეთანხმება სატენდერო პირობებს და სტანდარტულ პირობებს.

4. სატენდერო დოკოუმენტაციის კორექტირება და დამატებითი ინფორმაციის მოთხოვნა

4.1. პრეტენდენტი უფლებამოსილია სატენდერო წინადადების ვადის ამოწურვამდე ნებისმიერ დროს განახორციელოს სატენდერო დოკუმენტაციის ან/და მისი ნებისმიერი დანართის კორექტირება, კომპანიის წარმომადგენლისთვის წერილობითი შეტყობინების საფუძველზე. წერილობით შეტყობინებაში მკაფიოდ უნდა იყოს მითითება, რომ კორექტირებული დოკუმენტაცია წარმოადგენს სატენდერო დოკუმენტაციის განუყოფელ ნაწილს.

4.2. პრეტენდენტი უფლებამოსილია სატენდერო წინადადების ვადის ამოწურვამდე სულ მცირე 2 (ორი) კალენდარული დღით ადრე მოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია ტენდერთან, სატენდერო წინადადებასთან, შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებით, კომპანიის წარმომადგენლისთვის წერილობითი მიმართვის საფუძველზე.

4.3. სატენდერო წინადადების წარდგენის შემდეგ კომპანია უფლებამოსილია საჭიროებისამებრ პრეტენდენტს მოსთხოვოს დამატებითი ინფორმაციის წარდგენა ან/და სატენდერო წინადადებაში მითითებული ინფორმაციის დაზუსტება, რაც პრეტენდენტის მიერ დაუყოვნებლივ უნდა იქნეს შესრულებული.

5. სატენდერო წინადადების მიღება

5.1. პრეტენდენტი ვალდებულია წარადგინოს ისეთი სატენდერო წინადადება, რომელიც ძალაში იქნება სატენდერო წინადადების ვადის ამოწურვიდან სულ მცირე 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადით.

5.2. სატენდერო წინადადების წარდგენით პრეტენდენტი თანხმდება, რომ არ შეცვლის ან არ გამოითხოვს სატენდერო წინადადებას ამ მუხლის 5.1. პუნქტით გათვალისწინებული ვადის ამოწურვამდე, გარდა სტანდარტული პირობების 3.5 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა ან კომპანიის წინასწარი წერილობითი თანხმობისა.

5.3. კომპანია უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებით, პრიორიტეტულად გაანაწილოს სატენდერო წინადადებები და შეარჩიოს წარმატებული პრეტენდენტი, მთლიანად სატენდერო წინადადების, სატედნერო დოკუმენტაციის სატენდერო პირობებთან შესაბამისობის შეფასების გზით, რაც არ გულისხმობს რომ ყველაზე დაბალი ფასის წარმდგენი პრეტენდენტი ავტომატურად გახდება წარმატებული პრეტენდენტი.

5.4. სატენდერო წინადადება მიიჩნევა საბოლოოდ მიღებულად მხოლოდ კომპანიასა და წარმატებულ პრეტენდენტს შორის ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში.

5.5. წარმატებული პრეტენდენტი აღიარებს და თანხმობას აცხადებს, რომ კომპანიის უფლებამოსილებაზე ხელშეკრულებაში გაითვალისწინოს სატენდერო წინადადება სრულად ან ნაწილობრივ.

5.6. ტენდერის პროცესების დასრულებისას პრეტენდენტებს რომლებიც არ არიან წარმატებული პრეტენდენტები წერილობით სატენდერო დოკუმენტაციაში დაფიქსირებული ელ.ფოსტის საშუალებით ეცნობებათ, რომ მათი სატენდერო წინდადება წარუმატებელი აღმოჩნდა. კომპანია არ არის ვალდებული გაამჟღავნოს სატენდერო წინადადებაზე უარის თქმის მიზეზები და აწარმოოს დამატებითი კომუნიკაცია პრეტენდენტთან სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებით.

6. ინფორმაციის კონფიდენციალურობა

6.1. პრეტენდენტი ვალდებულია ტენდერის მოქმედების პერიოდში, ასევე ტენდერის დასრულების შემდგომ დაიცვას კომპანიისგან მიღებული ნებისმიერი სახის ინფორმაციის კონფიდენციალურობა, რომელიც მათ შორის და არა მხოლოდ გულისხმობს ინფორმაციას შესყიდვის ობიექტის შესახებ, სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებულ ინფორმაციას, ნახაზებს, სპეციფიკაციებს, ტექნიკურ და სხვა სახის ინფორმაციას, რაც ნებისმიერი ფორმით (ზეპირი, წერილობითი ან/და ელექტრონული) გაზიარებულია პრეტენდენტისთვის (შემდგომში - კონფიდენციალური ინფორმაცია).

6.2. პრეტენდენტი ვალდებულია კომპანიის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე არ გაამჟღავნოს ან/და გადასცეს კონფიდენციალური ინფორმაცია მესამე პირებზე, მათ შორის არ გაასაჯაროოს, გასცეს, გამოაქვეყნოს ინფორმაცია, დოკუმენტი, სტატია (მათ შორის ფოტო ან ფილმი), მედია რელიზი ან სხვა სახის რეკლამა, არ მისცეს უფლება მესამე პირებს გამოიყენონ, გაავრცელონ ამგვარი ინფორმაცია სატენდერო წინადადების მომზადებისგან განსხვავებული მიზნებისთვის.

6.3. იმ შემთხვევაში თუ პრეტენდენტი მედიისგან მიიღებს რაიმე სახის შეკითხვას ტენდერის შესახებ, პრეტენდენტი ვალდებულია აღნიშნული დაუყოვნებლივ შეატყობინოს კომპანიის წარმომადგენელს, პრეტენდენტი არ არის უფლებამოსილი თავად კომპანიის შეტყობინების გარეშე აწარმოოს კომუნიკაცია მედიასთან ტენდერთან დაკავშირებულ საკითხებთან დაკავშირებით.

6.4. კონფიდენციალურობის შესახებ ზემოაღნიშნული შეზღუდვა არ შეეხება ინფორმაციას ან ინფორმაციის გამჟღავნებას:

6.4.1. რომელიც კანონმდებლობის დარღვევის გარეშე იყო ცნობილი ინფორმაციის პრეტენდენტისთვის ინფორმაციის კომპანიის მიერ შესაბამისი ინფორმაციის გამჟღავნებამდე;

6.4.2. რომლის გამჟღავნებაც მოხდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით და შესასრულებლად (მათ შორის, რომელიმე მხარის მიერ სასამართლო (მათ შორის, საარბიტრაჟო სასამართლო) წესით მისი უფლებების განსახორციელებლად);

6.4.3. რომლის მოპოვებაც შესაძლებელია სხვა საჯაროდ ხელმისაწვდომი წყაროებიდან;

6.4.4. თუ ინფორმაციის მესამე პირისათვის გამჟღავნება მოხდება პრეტენდენტისა და კომპანიის წერილობითი შეთანხმებით, რა შემთხვევაშიც პრეტენდენტი სრულად აგებს პასუხს მესამე პირის მიერ მისთვის გადაცემული ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვაზე.

6.5. კომპანია უფლებამოსილია ტენდერის მიმდინარეობისას პრეტენდენტს მოსთხოვოს დამატებით ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვის შესახებ შეთანხმების გაფორმება. იმ შემთხვევაში თუ პრეტენდენტი უარს განაცხადებს ამგვარი შეთანხმების ხელმოწერაზე, კომპანია უფლებამოსილია არ განიხილოს ასეთი პრეტენდენტის მიერ წარდგენილი სატენდერო წინადადება.

6.6. პრეტენდენტი ვალდებულია უზრუნველყოს რომ მისი ყველა თანამშრომელი, აგენტი, ქვეკონტრაქტორი ან ნებისმიერი სხვა პირი, რომელსაც პრეტენდენტი უზიარებს კონფიდენციალურ ინფორმაციას დაიცავს ამ მუხლის დებულებებს.

6.7. სატენდერო წინადადების წარდგენით პრეტენდენტი აცხადეს თანხმობას კომპანიის უფლებამოსილებაზე სატენდრო წინადადების შეფასების მიზნით პრეტენდენტის მიერ წერილობითი, ზეპირი ან/და ელექტრონული ფორმით წარდგენილი ინფორმაცია ან დოკუმენტაცია გამოიყენოს, გაასაჯაროოს, გადასცეს მესამე პირებს.

7. პერსონალური მონაცემები

7.1. პრეტენდენტი ვალდებულია პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაციის/დოკუმენტაციის დამუშავებისას დაიცვას პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნები.

8. ინტერესთა კონფლიქტი

8.1. პრეტენდენტი ვალდებულია დაუყოვნებლივ გაუმჟღავნოს კომპანიას ნებისმიერი ის გარემოება, გარიგება ან ურთიერთობა, რაც წარმოადგენს ან გონივრულ ეჭვს ბადებს სატენდერო დოკუმენტაციით ან კონტრაქტით გათვალისწინებულ პრეტენდენტის ვალდებულებებთან ფაქტობრივ ან პოტენციურ ინტერესთა კონფლიქტის არსებობასთან დაკავშირებით.

9. პრეტენდენტის განცხადებები და გარანტიები

9.1. პრეტენდენტი აცხადებს და გარანტიას იძლევა რომ:

9.1.1. არ აქვს ინფორმაცია არც ერთი სხვა პრეტენდენტის სატენდერო ფასის, სატენდერო დოკუმენტაციის ან სხვა პირობების შესახებ.

9.1.2. არ გაუფორმებია ხელშეკრულება, არ დაუდია გარიგება ან/და არ შეთანხმებულა სხვა პრეტენდენტთან წარმატებული პრეტენდენტის ვინაობის თაობაზე ან/და სატენდერო პირობებში მითითებულ ფასებთან/პირობებთან დაკავშირებით.

9.1.3. არ ჩართულა შეხვედრებში ან არ გაუცვლია ინფორმაცია სხვა პრეტენდენტებთან სატენდერო პროცესების ან უშუალოდ სატენდერო წინადადებების შესახებ.

9.1.4. არ განუხორციელებია სატენდერო ფასის ხელოვნური ზრდა, ტენდერში გამარჯვების თავიდან აცილების მიზნით.

9.1.5. სრულად გაეცნო ტენდერის მოცულობას, ტენდერის პირობებს და არ არსებობს ისეთი გარემოება, რამაც შესაძლოა ზეგავლენა იქონიოს მის სატენდერო წინადადებასა და მის მიერ ხელშეკრულების შესრულებაზე.

9.1.6. სატენდერო წინადადება მოამზადა ნებაყოფლობით, საკუთარი განსჯის, მის მიერ ჩატარებული კვლევების და საკუთარი ინტერპრეტაციის საფუძველზე და ადგილი არ ჰქონია კომპანიის მხრიდან ძალდატანებას სატენდერო წინადადების შემოტანაზე, ხელშეკრულების გაფორმებასა თუ სხვა ტენდერთან დაკავშირებულისა ქმედების განხორციელებაზე.

9.1.7. კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნებითა და გონივრული მოკვლევაზე დაყრდნობით, მათ შორის და არა მხოლოდ სატენდერო დოკუმენტაციაში მოცემული მასალაზე და კომპანიის მიერ მოწოდებულ ტექნიკური ხასიათის ინფორმაციაზე დაყრდნობით შეამოწმა რისკებთან, გაუთვალისწინებელ გარემოებებთან ან სხვა გარემოებებთან დაკავშირებული ინფორმაცია, რამაც შეიძლება ზეგავლენა იქონიოს სატენდერო წინადადებაზე.

9.1.8. დამოუკიდებლად შეამოწმა/შეამოწმებს კომპანიის სახელით მიწოდებული ინფორმაციის სიზუსტეს, ადეკვატურობას და სისწორეს გარდა სატენდერო დოკუმენტაციაში მოცემული ინფორმაციისა.

9.1.9. სატენდერო წინადადების ფასი დაადგინა კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის, მოსაკრებლის, გადასახდელის გათვალისწინებით.

9.1.10. საჭიროების შემთხვევაში დაათვალიერა მომწოდებლის საწარმო/ტერიტორია (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და იქ არსებული პირობები, გარემოებები და სხვა მახასიათებლები გაითვალისწინა სატენდერო წინადადებაში.

9.1.11. შეაფასა კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა მოთხოვნა სახელშეკრულებო ვალდებულებებთან დაკავშირებით და ის, რომ მას სრულად შეუძლია იკისროს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება.

9.1.12. კომპანიამ სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებული ან სხვა ნებისმიერი ინფორმაცია მიაწოდა მხოლოდ მოხერხებულობისთვის და არ ექნება პრეტენზია კომპანიისა თუ კომპანიის წარმომადგენლის მიმართ ასეთ ინფორმაციასთან დაკავშირებით კანონმდებლობით გათვალისწინებულ ფარგლებში. ამდენად კომპანია არ არის პასუხისმგებელი ასეთი ინფორმაციის სისწორესა და სიზუსტეზე.

9.1.13. მომწოდებლის საწარმოს/ტერიტორიის შესწავლის, ხელშეკრულებით შესასრულებელი ვალდებულბების ფარგლების და სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილი ვალდებულებების შესწავლის მიზნით დაესწრო/დაესწრება მომწოდებლის საწარმოს/ტერიტორიის ინსპექტირებას. აღნიშნულ ინსპექტირებაზე დაუსწრებლობა არ ათავისუფლებს პრეტენდენტს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისგან.

9.1.14. კომპანიის წარმომადგენლის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე არ ჰქონია ან ექნება ნებისმიერი სახის კომუნიკაცია (ზეპირი ან/და წერილობითი) კომპანიის არცერთ თანამშრომელთან, კონსულტანტთან ან მიმწოდებელთან, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც ამგვარი თანხმობა გაცემულია უშუალოდ კომპანიის წარმომადგენლის მიერ. აღნიშნულ შემთხვევაში პრეტენდენტი უფლებამოსილია აწარმოოს მხოლოდ ზეპირი სახის კომუნიკაცია. პრეტენდენტი ვალდებულია წერილობით (წერილი, ელ.ფოსტა თუ სხვა) გაუგზავნოს კომპანიას დასადასტურებლად და შემდეგ ადრესატს.

9.2. პრეტენდენტი ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს კომპანიას ყველა იმ გარემოებ(ებ)ის შესახებ, რომელიც შეიძლება წინააღმდეგობაში მოვიდეს მის აღნიშნულ განცხადებებთან და გარანტიებთან ან/და გამოიწვიოს მათი დარღვევა.

9.3. პრეტენდენტის წინამდებარე განცხადებები და გარანტიები ძალაშია წარმატებული პრეტენდენტის გამოვლენამდე ან პრეტენდენთან ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში ხელშეკრულების საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე, მიუხედავად ხელშეკრულების სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტისა.

9.4. პრეტენდეტი აღიარებს, რომ კომპანია სატენდერო წინდადებების განხილვისა და ხელშეკრულების გაფორმებისას ეყრდნობა ამ მუხლში მოცემულ განცხადებებსა და გარანტიებს, რომელთა დარღვევის შემთხვევაშიც კომპანია უფლებამოსილია

ა) უარი თქვას სატენდერო წინადადების განხილვაზე;

ბ) გამოიყენოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა მექანიზმები.

10. პასუხისმგებლობის შეზღუდვა

10.1. კომპანიის ვალდებულებები პრეტენდენტის წინაშე შემოიფარგლება მხოლოდ სატენდერო განაცხადის განთავსებით და არ უნდა იქნეს გაგებული იმგვარად რომ სატენდერო განაცხადის განთავსებით კომპანია ვალდებულია მიიღოს სატენდერო წინადადება.

10.2. პრეტენდენტი ტენდერში მონაწილეობას იღებს თავისი პასუხისმგებლობით, რისკითა და ხარჯით. პრეტენდენტი არ არის უფლებამოსილი მოსთხოვოს ანაზღაურება ან კომპენსაცია კომპანიას იმ ხარჯებისათვის ან ზარალისათვის, რომელიც მან გაიღო სატენდერო დოკუმენტაციის მომზადებისა თუ წარმოდგენის დროს, ან სხვაგვარად სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებით.

10.3. კომპანია არ არის პასუხისმგებელი პრეტენდენტის წინაშე ისეთი ქმედებებისთვის, როდესაც:

10.3.1. საკუთარი შეხედულებით მიიღებს გადაწყვეტილებას მთლიანად ან ნაწილობრივ არ შეიძინოს სატენდერო დოკუმენტაციით წარმოდგენილი საქონელი ან/და მომსახურება.

10.3.2. აწარმოებს მოლაპარაკებებს ნებისმიერ მესამე პირთან პრეტენდენტთან წარმოებული მოლაპარაკებების პარალელურად.

10.3.3. შეწყვეტს სატენდერო პროცედურებს და მოლაპარაკებებს პრეტენდენტთან.

10.3.4. პრეტენდენტი არ შეირჩევა იმ შესყიდვის ობიექტის მიმწოდებლად, რაც სატენდერო პირობების საგანს წარმოადგენს.

10.3.5. წარმატებულ პრეტენდენტად შეირჩევა ალტერნატიული სატენდერო წინადადება.

10.3.6. გამოიყენებს მე-11 მუხლით გათვალისწინებულ დისკრეციულ უფლებამოსილებებს სატენდერო დოკუმენტაციის ფარგლებში ან მასთან დაკავშირებით.

11. კომპანიის დისკრეციული უფლებამოსილება

11.1. კომპანია უფლებამოსილია, თავისი შეხედულებით:

11.1.1. სატენდერო წინადადების ვადის ამოწურვამდე ან ამოწურვის შემდეგ ნებისმიერ დროს მთლიანად ან ნაწილობრივ გააუქმოს ტენდერი.

11.1.2. კონკრეტული პრეტენდენტისთვის დამატებითი ინფორმაციის/დოკუმენტაციის მიწოდების შემთხვევაში მიაწოდოს ანალოგიური ინფორმაცია/დოკუმენტაცია ყველა სხვა პრეტენდენტს.

11.1.3. შეცვალოს სატენდერო წინადადების ვადა.

11.1.4. უარი თქვას იმ სატენდერო წინადადების განხილვაზე, რომელიც:

ა) წარმოდგენილია სატენდერო დოკუმენტაციისგან განსხვავებული მეთოდით;

ბ) წარმოდგენილია სატენდერო წანადადების ვადის ამოწურვის შემდეგ; ან/და

გ) წარმოდგენილია ისეთი პრეტენდენტის მიერ, რომელიც არ აკმაყოფილებს სატენდერო პირობებს.

11.1.5. გამოიყენოს საკუთარი კრიტერიუმები სატენდერო წინადადების შეფასებისას.

11.1.6. სატენდერო წინადადების არასრულყოფილად/შეუსაბამოს მიჩნევის შემთხვევაში უარი განაცხადოს შესაბამისი პრეტენდენტის განხილვაზე, მოთხოვოს პრეტენდენტს დამატებითი ინფორმაციის წარდგენა ან მოთხოვოს პრეტენდენტს სატენდერო წინადადების შესწორება.

11.1.7. ერთ ან ერთზე მეტ პრეტენდენტთან აწარმოოს მოლაპარაკებები მათ სატენდერო წინადადებებთან დაკავშირებით.

11.1.8. ხელახლა განათავსოს ტენდერი უკვე გათვალისწინებულ შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებით, ან მოიწვიოს ნებისმიერი სხვა პირი წარმოადგინოს სატენდერო წინადადება.

11.1.9. ნებისმიერ დროს განახორციელოს პრეკვალიფიკაცია, მოკლე სია ან პირდაპირ აწარმოოს მოლაპარაკებები ერთ ან მეტ პირთან (მიუხედავად იმისა, წარმოადგინა თუ არა ასეთმა პირმა სატენდერო წინადადება).

11.1.10. დაყოს შესყიდვის ობიექტი რამდენიმე ლოტად და თითოეული ლოტთან დაკავშირებით გააფორმოს ხელშეკრულებები სხვადასხვა პრეტენდენტთან.